



საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის

**განკარგულება**

2014 წლის 2 სექტემბერი

No 811

თბილისი

შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ ფასიანი ქაღალდების ემისიის  
წინასწარი პროსპექტის  
დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15  
მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 52-ე მუხლის „დ“ პუნქტის,  
„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-7  
პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013  
წლის 27 ივნისის N66/04 ბრძანების საფუძველზე:

1. დამტკიცდეს შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ ფასიანი ქაღალდების ემისიის წინასწარი პროსპექტი;
2. შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიას“ დაევალოს კანონით დადგენილ ვადებში და წესით ფასიანი ქაღალდების ემისიის საბოლოო პროსპექტის წარმოდგენა;
3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხევანი, მე-12 კილომეტრი №6) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის გაცნობისთანავე.

